საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 58 03/12/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის N85 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გამგებლისათვის გადაცემისშესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63 - მუხლის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის N85 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გამგებლისათვის გადაცემის შესახებ“

1.შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების სათაურში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილების მერისთვის გადაცემის შესახებ“

2. განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რეგაქციით“

„მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების ნებართვების გაცემის უფლებამოსილება გადაეცეს მუნიციპალიტეტის მერს“.

3.შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების მე -2 მუხლით დამტკიცებულ მშენებლობის ნებართვის მოწმობაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

ბარბაქაძე მანანა



საკრებულოს თავმჯდომარე